ძლიერი ქალი-ძლიერი ეკონომიკა

ლია ჭყონია
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გენდერული სხვაობის ინდექსის 2020 წლის ანგარიშის მიხედვით 153 ქვეყანას შორის საქართველოს 74-ე ადგილი უჭირავს. გენდერული თანასწორობის მხრივ ყველაზე არასახარბიელო ვითარება ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაშია.

მსოფლიო ბანკის შეფასებით, საქართველოში ქალების სახით არსებული ეკონომიკური რესურსის უკეთ გამოყენება, კერძოდ, შრომის ბაზარზე არსებული გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრა მშპ-ის 11.3%-იან ზრდას გამოიწვევს.

2023 წელს საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფცია". საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისა და დასაქმების სახელმწიფო ხელშეწყობით უმჯობესდება **ქალთა მონაწილეობა სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში და** ქალთა ჩართულობა ეკონომიკურ საქმიანობაში.

ბიზნეს-გარემო ქვეყანაში საკმაოდ ხელსაყრელია ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის და არ არსებობს რაიმე დისკრიმინაციული ნორმები ქალებთან მიმართებაში. საქართველოში ქალებს აქვთ შესაძლებლობა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას შორის მჭიდრო მიზეზ-შედეგობრივი კავშირიდან გამომდინარე, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება ეკონომიკური შესაძლებლობების უფრო ეფექტიანად გამოყენებისა და ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

საკვანძო სიტყვები: ქალი, გენდერი. ბიზნესი. სახელმწიფო. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება.

A STRONG WOMAN IS A STRONG ECONOMY

Lia Chkonia
Associate Professor of GTU

RESUME

According to the World Economic Forum Gender Gap Index 2020 report, Georgia ranks 74 th among 153 countries. The most unfavorable situation in terms of gender equality is in economic and political life.

According to the World Bank, better use of the economic resource in the form of women in Georgia, in particular, elimination of gender inequality in the labor market, will lead to an 11.3% increase in GDP.

In 2023, the government of Georgia adopted the "state concept of women's economic empowerment". Based on the data of the National Statistical Service of Georgia, state promotion of women's economic empowerment and employment improves women's participation in state economic programs and women's involvement in economic activities.

The business environment in the country is quite favorable for starting and developing a business, and there are no discriminatory norms against women. Women in Georgia have the opportunity to make a significant contribution to the development of the country's economy. Due to the close cause-and-effect relationship between women's economic empowerment and the country's economic development, women's economic empowerment is one of the important prerequisites for more effective use of economic opportunities and rapid economic development of the country.

Key words: Woman, Gender, Business, State, Economic Empowerment of Women.

* * * *

უძველესი კულტურის, რელიგიისა და ტრადიციების მქონე საქართველოში ოდითგანვე დიდია ქალის ისტორიული როლი. დიდი წვლილი მიუძღვით ქალბატონებს ოჯახის, საზოგადოების, ქვეყნის განვითარებაში. მედიცინის ფუძემდებლის კოლხი მედეას წყალობით გაიცნო ანტიკურმა სამყარომ კოლხეთი. (ოქროს საწმისი, ოქროს მოპოვებისა და დამუშავების საიდუმლო). საქართველოში, მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში, ქრისტიანული რელიგიის გავრცელება წმინდა ნინოს უკავშირდება. წმინდანად შერაცხული, პირველი ქალი-მეფის, თამარ მეფის ეპოქა ოქროს ხანად იწოდება. საქართველოს ისტორიაში უამრავი მაგალითებია ქალების მოღვაწეობის, ბრძოლისა და შრომისა, როდესაც ისინი მამაკაცების გვერდით, ღირსეულად იღწვოდნენ ქვეყნის განვითარებისთვის სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა პოზიციებზე. გენდერული თვალსაზრისით ქალი საქართველოში თანასწორი, დაფასებული და დაცული იყო, არის დ იქნება.

XX საუკუნიდან მსოფლიოში საზოგადოებრივი

ცხოვრების ყველა სფეროში სისტემურ ხასიათს იღებს ქალის როლის განსაზღვრა, გენდერული პრობლემების წინ წამოწევა და თანასწორობის იდეის პოპულარიზაცია. ეკონომიკაში გენდერი გახდა არა სასურველი, არამედ აუცილებელი. შემუშავდა მთელი რიგი პროგრამები, ხედვები, შეიქმნა ორგანიზაციები, რომლებიც ქალების ეკონომიკური გაძლიერებას უწყობს ხელს.

ქალების ეკონომიკური გაძლიერება ნიშნავს ქალებს ჰქონდეთ ძალაუფლება, მიიღონ გადაწყვეტილებები და აკონტროლონ რესურსები, ქონება, შემოსავალი, დრო, ბიუჯეტი. დამოუკიდებლად მიიღონ ეკონომიკური გადაწყვეტილებები, იყვნენ კონკურენტუნარიანები, მართონ რისკები და ჩაერთონ ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში. ქალებს აქვთ შესაძლებლობა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

მსოფლიოში ქალების სამუშაო ძალაში ჩართულობა 47%-ზე ნაკლებია, ხოლო მამაკაცების 72%. ეკონომიკის წამყვანი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ განვითარებადი ქვეყნების ყველაზე დიდი სიმდიდრეა არა ოქროს ან ნავთობის საბადოები, არამედ ქალები. ქალები უდიდესი, აუთვისებელი ეკონომიკური რესურსია, რომლებსაც აქვთ შესაძლებლობა თავი დაიმკვიდრონ შრომით ბაზარზე და ამით წვლილი შეიტანონ საკუთარი ოჯახების შემოსავლის გაზრდასა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (World Economic Forum-WEF) გენდერული სხვაობის ინდექსის (Gender Gap Index) 2020 წლის ანგარიშის მიხედვით 153 ქვეყანას შორის საქართველოს 74-ე ადგილი უჭირავს. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულია ინდექსები, რომლებიც აფასებენ ქვეყნებს. გენდერული თანასწორობის და ეკონომიკაში ქალთა ჩართულობის ინდექსების მიხედვით საქართველოს მაჩვენებელი არის საშუალო, გარდა განათლების მაჩვენებლისა, ვინაიდან საქართველოში განათლება ერთადერთი სფეროა, სადაც გენდერული თანასწორობა თითქმის სრულყოფილადაა მიღწეული. ინდექსები აჩვენებს, რომ ყველაზე ცუდი ვითარება გენდერული თანასწორობის მხრივ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაშია.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოში ქალები მოსახლეობის 52% ს შეადგენენ. 2022 წლის მონაცემებით საქართველოში მამაკაცების დასაქმების მაჩვენებელი უფრო მაღალია (49%), ვიდრე ქალების (32.5%). ეკონომიკურად არააქტიური ქალების მესამედზე მეტი დიასახლისია. რომელსაც გააჩნია პოტენციალი გახდეს ეკონომიკურად აქტიური ძალა და სამეწარმეო შესაძლებლობების რეალიზაციის გზით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ, როგორც საკუთარი ოჯახების, კეთილდღეობის გაზრდაში, ასევე, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

მსოფლიო ბანკის შეფასებით, საქართველოში ქალების სახით არსებული ეკონომიკური რესურსის უკეთ გამოყენება, კერძოდ, შრომის ბაზარზე არსებული გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრა მშპ-ის 11.3%-იან ზრდას გამოიწვევს.

ბიზნეს-გარემო საქართველოში საკმაოდ ხელსაყრელია ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის და არ არსებობს რაიმე დისკრიმინაციული ნორმები ქალებთან მიმართებაში. საქართველოში საკანონმდებლო დონეზე ქალის როლი არ არის დისკრიმინირებული. არ არსებობს სამუშაო ადგილი, რომელიც კანონით მხოლოდ მამაკაცს შეუძლია დაიკავოს, ან ოფიციალური შიდა რეგულაციებით ერთი და იგივე პოზიციაზე ქალი და მამაკაცი განსხვავებულ ანაზღაურებას იღებდეს. მიუხედავად ამისა, ქალები საშუალოდ მამაკაცებზე 40%-ით ნაკლებ ანაზღაურებას იღებენ. ეს იმით აიხსნება, რომ მმართველ და შესაბამისად უფრო მაღალანაზღაურებად პოზიციებს უმეტესად მამაკაცები იკავებენ. პროფესიულად მამაკაცებზე მეტი ქალია წარმოდგენილი ადამიანებთან ურთიერთობის და კულტურის სფეროებში (65%), ხოლო ქალები ნაკლებად (12-15-26%) არიან დასაქმებულები საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიების, საინჟინრო და მონაცემთა და ხელოვნური ინტელექტის სფეროებში. საქართველოში არასათანადოდაა გამოყენებული ქალთა ადამიანური კაპიტალი. ქალების განათლების დონე მათ ეკონომიკურ აქტივობაში სათანადოდ არ აისახება. უმუშევარ ქალთა 57.9%-ს აქვს უმაღლესი ან პროფესიული განათლება, მაგრამ შრომის ბაზარი საქართველოში უმეტესად საშუალო და დაბალი კვალიფიკაციის კადრს ითხოვს.

საქართველოში დღესდღეობით მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ქალთა ეკონომიკური გაძლიერება, საკმაოდ ბევრი პრობლემა არსებობს ქალთა დასაქმების ხელშეწყობის საკითხში, მაგრამ დროთა განმავლობაში აღინიშნება პროგრესული ცვლილებები, რაც დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკასა და საზოგადოებაზე.

2020 წელს საქართველოს შრომის კოდექსში შევიდა რიგი ცვლილებები ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით. კერძოდ, დამსაქმებელი ვალდებულია ქალი და კაცი დასაქმებულების მიერ თანაბარი სამუშაოს შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოს მათთვის თანაბარი შრომის ანაზღაურება. ცვლილება მოიცავს დეკრეტული შვებულების შემდგომ პროფესიულ გადამზადებას და სამსახურის შენარჩუნების გარანტიებსაც. ამასთან, ბავშვის მოვლის გამო შვებულების აღების უფლება კაცებსაც ექნებათ, ეს ქალთა აუნაზღაურებელი

საოჯახო შრომის გადანაწილების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რაც საბოლოოდ ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე აისახება.

ეკონომიკაში მონაწილეობისა და შესაძლებლობების ნაწილში ქალების ბიზნეს საქმიანობა მრავალი პარამეტრით ჩამორჩება მამაკაცების მონაცემებს. ბიზნესის დამფუძნებელი კაცები თითქმის ორჯერ აღემატება ამავე კატეგორიის ქალების რიცხოვნობას.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2022 წლის გენდერული უთანასწორობის ანგარიშის მიხედვით, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოთა მხოლოდ 11.5%-ში ქალი ფლობს წილების 50%-ზე მეტს. აღმასრულებელი დირექტორის ან ტოპ-მენეჯერის პოზიციებზე ქალები საქართველოში რეგისტრირებული კომპანიების მხოლოდ 16.5%-ში არიან წარმოდგენილი.

ქალების მიერ დაფუძნებული ბიზნესი სჭარბობს ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქმიანობებისა და განათლების სფეროში, დანარჩენ ყველა სექტორში ისინი დიდი სხვაობით ჩამორჩებიან მამაკაცებს. ამას გარდა, ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილი მენეჯერულ პოზიციებზე.

საქართველოში ბიზნესმენ ქალებში მნიშვნელოვნად ჭარბობს მცირე და მიკრო ბიზნესის წილი. ქალ მეწარმეთა მფლობელობაში არსებული კომპანიების 76 % ინდივიდუალური მეწარმეა, 23 %-ს აქვს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. ქალი მეწარმეების 64 %-მა ბიზნესი თავად დაიწყო, 23 %-მა ოჯახის დახმარებით, ხოლო 12 %-მა პარტნიორებთან ერთად დააფუძნა საწარმო.

საქართველოში ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამა მუშაობს. 2014 წლიდან ქვეყანაში მოქმედებს მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ერთ-ერთი პრიორიტეტი ქალი მეწარმის მიერ ბიზნესის დაწყება/გაფართოებაა, რაც გულისხმობს განაცხადის შეფასების ეტაპზე, მისთვის დამატებითი ქულის მინიჭებას. 2020 წელს „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში 699 გამარჯვებულს შორის 341 (48.8%) ქალია.

2016 წლიდან ქვეყანაში მოქმედებს ინოვაციური ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა „სტარტაპ საქართველო“, რომლებიც მცირე და მსხვილი მეწარმეობის განვითარებას უწყობს ხელს. ქალი მეწარმეების გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით ქალი აპლიკანტებისთვის 40% ქვოტაა დაწესებული. 2020 წელს პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული შვიდი სტარტაპიდან, ორის დამფუძნებელი ქალია. თუმცა ქალი ბენეფიციარების საერთო რაოდენობა ნაკლებია კაცი ბენეფიციარების რაოდენობაზე.

2014 წლიდან ქვეყანაში მოქმედებს აგროდაზღვევის პროგრამა. 2020 წელს აგროდაზღვევის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა 21.5% ქალია. სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ 2020 წელს განხორციელებული პროგრამებიდან, მხოლოდ „ახალგაზრდა მეწარმის“ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ქალების რაოდენობა აღემატებოდა კაცებისას (21 ქალი, 18 კაცი). პროგრამაში ქალების ჩართულობის გაზრდის მიზნით, ქალი აპლიკანტებისთვის ასაკობრივი ჯგუფი 18-40 წელია, ხოლო კაცებისთვის 18-35 წელია განსაზღვრული.

გაეროს ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისკენ მიმართულ საქმიანობას საქართველოში ნორვეგიის მთავრობა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო აფინანსებენ. 2019 წელს ევროკავშირის მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის პროგრამით საქართველოში 919-მა მეწარმე ქალმა მთლიანობაში 76 მილიონი ევროს ოდენობის სესხი მიიღო, ხოლო 84-მა მიიღო გრანტები, რომელთა საერთო ოდენობა 500,000 ევრომდეა. 8,5000-ზე მეტმა ქალმა ისარგებლა საკონსულტაციო მომსახურებით. მხარდაჭერილი კომპანიების ბრუნვა 100 მილიონ ევროზე მეტით გაიზარდა, და ამ მხარდაჭერის შედეგად შეიქმნა 7,895 ახალი სამუშაო ადგილი.

ქართველი მეწარმე ქალები ძირითადად მცირე ბიზნესში მოღვაწეობენ. როგორიცაა: საოჯახო სასტუმროები, ხელნაკეთი, საახალწლო. საქორწინო და სადღესასწაულო აქსესუარები, სამკაულები, ტანსაცმელი, ქალისა და ბავშვის სპორტული სამოსი, ჩანთები, სათამაშოები. თექის, ტყავის ნარჩენების, თიხის ჭურჭლის, სახლისა და ეზოს აქსესუარების, მინიატურების, დეკორაციების, კოსმეტიკის და თავის მოვლის საშუალებების წარმოება. ქალი მეწარმეების დაფუძნებულია ჩირის, ჩურჩხელისა და ტყლაპის მწარმოებელი ბრენდები. ეკოლოგიურად სუფთა და ჯანსაღი ინგრედიენტებით დამზადებული ტკბილ-ცხარე ჯემების, საკმაზ-სანელებლებისა და დესერტების მწარმოებელი მცირე საწარმოების უმეტესობა.

ქალების ჩართულობა ეკონომიკურ საქმიანობაში არ შემოიფარგლება მხოლოდ პროდუქციის წარმოებით, არამედ მათი მცირე ბიზნესში საქმიანობა მოიცავს განათლების, კულტურის, სპორტის სფეროებს. როგორიცაა: მშობელთა და ბავშვთა ინტერესების დაცვის ასოციაცია, ხანდაზმულთა სწავლებისა და დასაქმების სოციალური საწარმო, ენების შესასწავლი, სასკოლო საგნებში მომზადების, ტრენინგების, კარიერული განვითარების საკონსულტაციო ცენტრები. იურდიული მომსახურების, მთარგმნელობითი, ესთეტიკური სერვისცენ-

ტრები და სხვა. ქართული ხალხური, საესტრადო და ქალაქური სიმღერების შესწავლის ცენტრები, სპორტული, სავარჯიშო, ცეკვის, სამუსიკო სკოლები, ავტოსკოლა.

საქართველოში ბიზნეს-გარემო საკმაოდ ხელსაყრელია ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის. ამავე დროს არ არსებობს რაიმე დისკრიმინაცია ქალებთან მიმართებაში. თუმცა დამატებით ბარიერად რჩება ქალების დასაქმება ხელმძღვანელ მაღალ თანამდებობაზე, რაც თანაბარი ანაზღაურების პრობლემაა.

2021 წელს საქართველო შეუერთდა თანაბარი ანაზღაურების საერთაშორისო კოალიციას. ამით ქვეყანა იღებს ვალდებულებას, რომ შეიმუშავებს და გააუმჯობესებს თანაბარი ანაზღაურების მონიტორინგისა და უზრუნველყოფის მეთოდოლოგიას.

2023 წელს საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფცია" . ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კონცეფცია გულისხმობს მათ შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ და ამავდროულად, ისარგებლონ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ზრდის პროცესით. ამ პროცესში უნდა ხდებოდეს მათი ღირსებისა და შეტანილი წვლილის დაფასება და მონაწილეებს უნდა შეეძლოთ ეკონომიკური ზრდის შედეგად მიღებული სარგებლის უფრო სამართლიანი განაწილების თაობაზე მოლაპარაკება. კონცეფცია მიზნად ისახავს საქართველოში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხედვის ჩამოყალიბებას. ასაბუთებს ღონისძიებების როგორც მაკრო, ისე მიკროდონეზე განხორციელების საჭიროებას და მიმართულია ქალთა ეკონომიკური გაძლიერებით საქართველოში თანასწორობის განმტკიცებისკენ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისა და დასაქმების სახელმწიფო ხელშეწყობით, საქართველოში **ქალთა მონაწილეობა სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში და** ქალთა ჩართულობა ეკონომიკურ საქმიანობაში უმჯობესდება. ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პროპორციულად, პარალელურად გაიზრდება ქალთა შემოსავლები. ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას შორის არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირიდან გამომდინარე ქალთა ეკონომიკური გაძლიერება ეკონომიკური შესაძლებლობების უფრო ეფექტიანად გამოყენებისა და ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi) საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
2. https://matsne.gov.ge/ka/document/view/5003141?publication
3. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021–2027 წლების სტრატეგია https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/20395
4. საქართველოს მცირედასაშუალომეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის http://www.economy.ge/uploads/files/2017/ek__politika/sme_strategy/mcire_da_sashualo_mecarmeobis_ganvitarebis_strategia_2016_2020.pdf
5. სამადაშვილი უ, – „ქალთა როლი საქართველოს ეკონომიკის ინკლუზიურ ზრდაში". 2022